წერილის ნომერი: **30-302423427**
თარიღი: **21/08/2024**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ რომ, საკრებულოს განკარგულების ცვლილების პროექტი, მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და გეგმიდან ამოღებულ იქნას მერიის აუქციონატორის მიერ, პრივატიზირებული უძრავი ქონება, (ს/კ 27.15.41.391) და 27.10.46.433 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება რომელზეც განხორციელდა ცვლილების რეგისტრაცია რამაც გამოიწვია საკადასტრო კოდის გაუქმება.

ასევე მიზანშეწონილია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნით შეფასებული - (ს/კ 27.06.48.890), (ს/კ 27.06.48.893), (ს/კ 27.06.48.895), (ს/კ 27.06.52.438), (ს/კ 27.09.46.282), (ს/კ 27.03.42.004), (ს/კ 27.06.53.309), საკადასტრო კოდებზე არსებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შემგომში განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური

წერილის ნომერი:**08-30242288**
თარიღი: **15/08/2024**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით ამტკიცებს „მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას და პრივატიზების გეგმას“.

წარმოგიდგენთ დანართების სახით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N 25 განკარგულებაში ცვლილებას.

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში“ ცვლილება განპირობებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 146 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.15.41.391) პრივატიზებით.

აგრეთვე მოგახსენებთ რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას და პრივატიზების გეგმაში“ დაემატოს შემდეგი უძრავი ქონებები:

1. ქ. ლანჩხუთში მდებარე 41 236 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.48.890)

2. ქ.ლანჩხუთში მდებარე 42 649 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.48.893)

3. ქ. ლანჩხუთში მდებარე 282 489 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.48.895)

4. ქ. ლანჩხუთში ნინოშვილის ქუჩა N 9-ში მდებარე 576 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 146 კვ.მ. შენობა ნაგებობა (ს/კ 27.06.52.438)

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათში მდებარე 7 889 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზედ განთავსებული N1 (დანგრეული) და N 2 (დანგრეული) შენობა-ნაგებობები (ს/კ 27.09.46.282).

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათში მდებარე 225 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.03.42.004)

გთხოვთ დაავალოთ ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

პატივისცემით,

ირაკლი ხუხუნაიშვილი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური

წერილის ნომერი:**08-302423351**
თარიღი: **20/08/2024**

ადრესატი:

შოთა ჩაგუნავა
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური-სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული და სამართლებრივი

უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს

შოთა ჩაგუნავას

ბატონო შოთა

ჩვენი 2024 წლის 15 აგვისტოს N 08-30242288 მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით რომელიც ეხება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N 25 განკარგულებაში ცვლილებას, დამატებით გაცნობებთ რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას და პრივატიზების გეგმაში“ უნდა დაემატოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება კერძოდ: ქ. ლანჩხუთში თამარ მეფის მე-2 შესახვევში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 107 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ27.06.53.309) .

პატივისცემით,

ირაკლი ხუხუნაიშვილი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური

წერილის ნომერი:**08-302423385**
თარიღი: **20/08/2024**

ადრესატი:

შოთა ჩაგუნავა
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური-სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული და სამართლებრივი

უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს

შოთა ჩაგუნავას

ბატონო შოთა,

ჩვენი 2024 წლის 15 აგვისტოს N 08-30242288 მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით რომელიც ეხება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N 25 განკარგულებაში ცვლილებას, დამატებით გაცნობებთ რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმიდან“ ამოღებულ იქნა 27.10.46.433 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება, რადგან მასზედ განხორციელდა ცვლილების რეგისტრაცია რამაც გამოიწვია საკადასტრო კოდის გაუქმება.

პატივისცემით,

ირაკლი ხუხუნაიშვილი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2024 წლის აგვისტო

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება:

ა) განკარგულების პირველი მუხლის ,,ა“ პუნქტით დამტკიცებული ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა“ დანართი N1-ი ჩამოყალიბდეს დანართი N1-ის შესაბამისად.

ბ) განკარგულების პირველი მუხლის ,,გ“ პუნქტით დამტკიცებული ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმა“ დანართი N3-ი ჩამოყალიბდეს დანართი N3-ის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

დანართი 1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა

N	მისამართი	დანიშნულება	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ)	შენობის ფართი (კვ.მ)	შენიშვნა
1	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი აცანა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	27.02.41.004	865	394	
2	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩიბათი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზედ განთავსებული N1 (დანგრეული) და N 2 (დანგრეული) შენობა-ნაგებობები	27.09.46.282	7 889	N1 და N 2 შენობები დანგრეული	
3	ქ. ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.52.670	300		
4	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ლესა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით	27.10.46.434	1034	407,794	
5	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი გვიმბალაური	27.08.47.022 კოდზე არსებული შენობა-ნაგებობები	27.08.47.022		N 1- 909,30 N 2- 11.90	
6	ქ. ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.48.890	41 236		

7	ქ.ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.48.893	42 649		
8	ქ. ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.48.895	282 489		
9	ქ. ლანჩხუთი ნინოშვილის ქუჩა N 9	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	27.06.52.438	576	146	
10	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათში	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.03.42.004	225		
11	ქ. ლანჩხუთი თამარ მეფის მე-2 შესახვევი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.53.309	107		

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმა

N	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	სწყისი ღირებულება (ლარებში)	შენიშვნა
1	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი აცანა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	27.02.41.004	27 528	
2	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩიბათი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზედ განთავსებული N1 (დანგრეული) და N 2 (დანგრეული) შენობა-ნაგებობები	27.09.46.282	154 703	
3	ქ. ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.52.670	7500	
4	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ლესა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა - ნაგებობით	27.10.46.434	71 799,4	
5	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი გვიმბალაური	27.08.47.022 არსებული შენობა-ნაგებობა N 1 და შენობა-ნაგებობა N 2	27.08.47.022	შენობა-ნაგებობა N 1 – 18186 შენობა-ნაგებობა N 2- 238 საერთო ღირებულება - 18 424	

6	ქ. ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.48.890	403 700.44	
7	ქ. ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.48.893	417 533,71	
8	ქ.ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.48.895	2 593 249,02	
9	ქ. ლანჩხუთი ნინოშვილის ქუჩა N 9	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	27.06.52.438	43 960	
10	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათში	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.03.42.004	2 520	
11	ქ. ლანჩხუთი თამარ მეფის მე-2 შესახვევი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.53.309	4100	